ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ხ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.02.2015

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N 013/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ვ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრისმოთხოვნა: ადვოკატ შ. ვ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2015 წლის 10 თებერვალს საჩივრით მიმართა თ. ხ-მა და მოითხოვა ადვოკატ შ. ვ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 01 ნოემბერს ადვოკატ შ. ვ-ს მიმართა იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით. საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა დავა სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა 2013 წლის 04 ნოემბერს ადვოკატის სახელზე გასცა რწმუნებულება და შ. ვ-ს ჰონორარის სახით გადაუხადა 180 (ას ოთხმოცი) ლარი. ამის შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში ადვოკატს გადაუხადა 200 (ორასი) ლარი, დეკემბერში 100 (ასი) ლარი, 2014 წლის 09 იანვარს 125 (ას ოცდახუთი) ლარი. მომჩივანის მიერ ადვოკატისათვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 585 (ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 09 იანვრიდან 03 მარტამდე ადვოკატი აღარ დაკავშირებია, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა აცნობა ადვოკატს, რომ წყვეტდა საადვოკატო ხელშეკრულებას და მოსთხოვა გადახდილი თანხის 80%–ის უკან დაბრუნება. ადვოკატს შეეძლო დაეტოვებინა თანხის ის ნაწილი, რაც საჭირო იყო საქმის წარმოებისათვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2015 წლის 11 ივნისს ადვოკატმა შ. ვ-ემ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც დაადასტურა, რომ თ. ხ-ს უწევდა იურიდიულ მომსახურებას სამუშაო ფირმა „ტავაზთან“ არსებულ სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, თ. ხ-ს შეუთანხმდა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მისი ინტერესების სასამართლოში დაცვაზე. ამის შემდეგ ადვოკატის მოთხოვნის საფუძველზე, თ. ხ-მა მოიძია ცნობა სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით, ადვოკატი შეხვდა შპს „----“ დირექტორს და შეადგინა სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც სასამართლოსთვის აღარ მიუმართავს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, თ. ხ ასახელებდა საქმესთან დაკავშირებულ რამდენიმე მოწმეს, რომლებთან შეხვედრასაც ითხოვდა ადვოკატი, თუმცა 2014 წლის 25 თებერვალს ადვოკატს დაუკავშირდა კლიენტი და აცნობა, რომ წყვეტდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, სასამართლოში საკუთარ თავს თვითონ წარმოადგენდა და მოსთხოვა გადახდილი საადვოკატო მომსახურების საზღაურის უკან დაბრუნება.

2.4 ადვოკატმა დაადასტურა, რომ 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის 09 იანვრამდე კლიენტი უხდიდა ჰონორარს, რამაც სულ 585 (ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი შეადგინა. ადვოკატის განმარტებით, მან შესთავაზა კლიენტს თანხის ნაწილის უკან დაბრუნება, რაზეც თ. ხ.-მა უარი განაცხადა და მოითხოვა სრული თანხის დაბრუნება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2014 წლის დეკემბრიდან დღემდე აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც ვერ შეძლო მორიგება კლიენტთან, თუმცა იგი თანახმაა კლიენტს დაუბრუნოს გადახდილი თანხის ნაწილი – 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი შ. ვ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N/. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 თ. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2015 წლის 10 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013–2014 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ვ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 2016 წლის 28 ნოემბერს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას ადვოკატთან მორიგების თაობაზე. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს მისთვის გადახდილი 285 ლარიდან 400 (ოთხასი) ლარი დაუბრუნა და მომჩივანი უარს ამბობს საჩივარზე ადვოკატ შ. ვ-ის მიმართ.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელი ან პირი, ვისი მომართვის საფუძველზეც დაიწყო დისციპლინური წარმოება, უარს იტყვის საჩივარზე.“ შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N013/15 ადვოკატ შ. ვ-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/